

სარკმელი მოსწავლის სამყაროში

26 დეკემბერი, 2013 მარინე ჯაფარიძე

a A⁺

ნეიროლინგვისტური პროგრამირება პადაგოგიკის სამსახურში

ნეიროლინგვისტური პროგრამირება შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი ზოგადი მიდგომების კონცეფციაა, რომელიც ადამიანის განვითარებისა და სხვადასხვა სიტუაციაში მასზე ზემოქმედებისთვის გამოიყენება, მათ შორის – სწავლების პროცესშიც. მისი მიზანია სწავლების ეფექტიანობის გაზრდა ნეიროლინგვისტური დიდაქტიკური ხერხების გამოყენებით.

ალბათ, ყველა მასწავლებელს უცდია აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების დახმარება (დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარება, კონკრეტული მოსწავლისთვის მეტი ყურადღების დათმობა...), თუმცა ზოგჯერ უშედეგოდ. ამის მიზეზი შესაძლოა სწავლების ინდივიდუალიზაციის დეფიციტი იყოს – თქვენ ხომ მასწავლებელი ხართ და არა რეპეტიტორი. თუმცა არსებობს სხვა მიზეზიც, რომელიც განაპირობებს თქვენი ინდივიდუალური მიდგომის მარცხს. ეს არის გაუთვალისწინებლობა მოსწავლეთა ნეიროლოგიური მახასიათებლებისა, რომლებიც მისი სწავლის სტილს განსაზღვრავს.

ბევრი მოსწავლე სწავლაში იმიტომ ჩამორჩება, რომ მათი ტვინი თანდაყოლილი თუ შეძენილი თავისებურებების გამო “ამუხრუჭებს” სწავლების პროცესში გადაცემული ინფორმაციის აღქმას, გადამუშავებასა და ათვისებას. ასეთი ბავშვები სკოლის გარეთ საკმაოდ პრაქტიკულები, ადეკვატურები არიან და მიზანშეწონილ ქცევას ახორციელებენ. მაშ, რაშია საქმე?

როგორც ცნობილია, ადამიანი ინფორმაციას იღებს შეგრძნების 5 ძირითადი მოდალის ან რეპრეზენტატიული სისტემის – მხედველობის, სმენის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის – გზით. ინფორმაციის მიღების პირველი სამი საშუალება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი მათგანი ადამიანისთვის გამორჩეულად ახლოა და გასაგები. ამის შესატყვისად, ფსიქოლოგები ადამიანებს აუდიალურად, კინესთეტიკურად და ვიზუალურად ყოფენ.

სამყარო ჩვენ წინაშე არსებობს ხატების, ბგერების, შეგრძნებების სახით. შესაბამისად, შემეცნების პროცესში ჩვენ სამყაროს ვხედავთ, გვესმის და შევიგრძნობთ. თუმცა, როგორც ცნობილია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანთა შესაძლებლობები და უნარები, შეიცნონ სამყარო, განსხვავებულია.

ვხედავ, მესმის, შევიგრძნობ – ამ უნარებიდან ყოველ ჩვენგანს რომელიმე ერთი უფრო განვითარებული აქვს. ეს არის ჩვენი ე.წ. გამორჩეული რეპრეზენტატიული სისტემა, თანდაყოლილი თავისებურება, რომელიც ჩვენი აზროვნების მახასიათებელს წარმოადგენს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მომავალში თითოეული ჩვენგანის წარმატებას.

თავდაპირველად ბავშვს თავისუფალი არჩევანი აქვს და ირჩევს კიდეც სამყაროს აღქმის მისთვის უფრო იოლ ხერხს, თუმცა სკოლაში ეს ბალანსი მალევე იწყებს რღვევას. სწავლება თანდათან ვიზუალურ-ლოგიკურ ხასიათს იღებს. დაბალ კლასებშივე თანდათან ჩამორჩებიან კინესთეტიკები – მათ ხომ თითქმის არაფერს აძლევენ შესახებად, მოსასინჯად. მოგვიანებით, მაღალ კლასებში, ჩამორჩენას იწყებენ აუდიالებიც. პირველობა რჩებათ ვიზუალებს. უმეტესად ისინი ხდებიან კლასის ფოკორიტები.

სკოლის დამთავრების შემდეგ ადამიანის პროფესიული წინსვლა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, იპოვა თუ არა მან თავისი ადგილი წამყვანი რეპრეზენტატიული სისტემის გათვალისწინებით. მაგალითად, აუდიالები ხშირად მუსიკოსები და კომპოზიტორები გამოდიან, ვიზუალები – მხატვრები და კინოოპერატორები, კინესთეტიკები – მოქანდაკეები, დეგუსტატორები (აქვთ სუნისა და გემოს გამძაფრებული შეგრძნება).

საინტერესოა, რომ განსხვავებულია მათი ქცევა სტრესულ სიტუაციაშიც. ვიზუალები აგრესიულები არიან, ხშირად გამოდიან ბრალმდებლის როლში. აუდიالები გაურბიან დაძაბულ სიტუაციას ან ცდილობენ, სხვა თემაზე გადაიტანონ საუბარი. კინესთეტიკები უმეტესად არბილებენ კონფლიქტურ სიტუაციას და, თუ საჭირო გახდა, ბოდიშსაც მოიხდიან.

აღნიშნული კლასიფიკაცია კომუნიკაციის პროცესში ურთიერთგაგებასაც განსაზღვრავს. ერთი მხრივ, იმისთვის, რომ მოსწავლესთან თქვენი ურთიერთობა წარმატებული იყოს, საჭიროა გააგებინოთ მას, რა გსურთ. მეორე მხრივ, თვითონაც უნდა გაიგოთ, რის გაგებას ითხოვს იგი თქვენგან. ეს არც ისე ადვილია.

ვიზუალი მასწავლებელი ჩვენებით ძნელად თუ გააგებინებს რამეს კინესთეტ მოსწავლეს – ეს უკანასკნელი უნდა შეეხო, მოსინჯოს, აქტიურად ჩაერთოს კეთების პროცესში. მოკლედ, სრულფასოვანი ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მოსწავლესთან ურთიერთობას მისი წამყვანი რეპრეზენტატიული სისტემის გათვალისწინებით ააგებს.

ზემოთ აღნიშნულ ადამიანთა ტიპებს განსხვავებული აქვთ ლექსიკაც. ვიზუალი ხშირად ამბობს: “ვხედავ, რასაც გულისხმობთ”, „ვხედავ, საითაც მიგყავთ საქმე“, “პერსპექტივას ვერ ვხედავ”. აუდიალი ამბობს: “მეტისმეტად ხმამაღალი განცხადებაა თქვენი მხრივ”, “თქვენი კარგად არ მესმის”. კინესთეტი ამბობს: “ვერ ვგრძნობ მოსალოდნელ შედეგს”, “ვერაფერს ვხედავ ხელჩასაჭიდს” და ა.შ. უნდა ითქვას ისიც, რომ არსებობენ პოლიმოდალური ტიპებიც.

რამდენადაც ამა თუ იმ რეპრეზენტატიული სისტემის გამორჩეულობა ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებელია, ვიზუალები, კინესთეტიკები და აუდიალები ფიზიოლოგიურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ვიზუალებს სწორი დგომა ახასიათებთ, სწორად უჭირავთ ზურგი და კისერი. ისინი, ჩვეულებრივ, სუნთქავენ მკერდის ზედა ნაწილით და მეტყველებენ გარკვევით და ხმამაღლა. კინესთეტიკები ლაპარაკის ან მოსმენის დროს ხშირად იხრებიან წინ, მოძრაობები თავისუფალი და რბილი აქვთ, ლაპარაკობენ ნელა და ხმადაბლა. აუდიალები უფრო გამხდრები არიან, კომუნიკაციის დროს ხელები უმეტესად გულზე აქვთ დაკრეფილი, ხოლო თავი – წინ დახრილი, ყურადღებით გისმენენ. საუბრისას ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტონაციას, ხმის ტემბრსა და პაუზებს.

აღნიშნული საკითხის ცოდნა ერთობ მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის, რადგან სწავლებაც და აღზრდაც ადამიანთა შორის ურთიერთქმედების შედეგია. ამ ურთიერთქმედებას, კლასიკური მოდელის მიხედვით, ჰყავს გადამცემი და მიმღები. მასწავლებელსაც და მოსწავლესაც აქვთ აღქმის საკუთარი ხერხები. იმისთვის, რომ ინფორმაციამ გადამცემიდან მიმღებში შეაღწიოს, არხები უნდა იყოს სათანადოდ გამტარი. ეს არხები სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარი გამტარობით ხასიათდება. ზოგიერთს რომელიმე მათგანი სრულიად დახშული აქვს (მაგ., ბრმას), სხვებს – სხვადასხვა სისუფთავისა.

ჩვეულებრივ, დაწყებით კლასში 30 მოსწავლიდან 22-ს ყველა არხი თითქმის სათანადოდ ღონეზე აქვს განვითარებული, აქვს ნორმალური ვიზუალური, აუდიალური და კინესთეტიკური შესაძლებლობები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ გამორჩეული რეპრეზენტატიული სისტემა; ეს ნიშნავს, რომ ისინი ძლიერები არიან ერთში, თუმცა არც დანარჩენში არიან სუსტები. ეს ბავშვები ხვდებიან ე.წ. “კონვეიერში” და მიჰყვებიან სასწავლო პროცესს. 4-6 მოსწავლე ე.წ. “ტრანსლიატორია”. მათ უწევთ მასწავლებლის ნათქვამის “თავის ენაზე” თარგმნა, ამიტომაც სჭირდებათ მეტი დრო, ვიდრე დანარჩენებს. ხშირად ასეთი ბავშვები საყვედურს იღებენ უყურადღებობის გამო, თუმცა ეს მათი ბრალი სულაც არ არის; ამ დროს ისინი ცდილობენ, მასწავლებლის მიერ

მოწოდებული მასალა მათთვის წამყვან რეპრეზენტატიულ სისტემაში მოაქციონ. “ტრანსლიატორები” უმეტესად კინესთეტიკები არიან.

ამრიგად, “ტრანსლიატორები” (უმეტესად – კინესთეტიკები) ფეხდაფეხ ვერ მისდევნ სკოლის “კონვეიერის” პროგრამას და ხვდებიან ე.წ. “კორიდორებში”, გადამზადების სპეციალურ კლასებში. ამ პროცესს ხელს უწყობს, უპირველესად, მასწავლებელი, რომელიც ორიენტირებულია საკუთრივ მისთვის ხელსაყრელ რეპრეზენტატიულ სისტემაზე.

დანწყებით კლასებში კინესთეტიკები ნაკლებად იჩაგრებიან, რადგან სწავლება ყველაზე მეტად სწორედ ამ საფეხურზე უკავშირდება კეთებას. შუა კლასებში სწავლება აუდიალური ხდება და აქედან იწყება პრობლემებიც მათთვის, ვინც ვერ ახერხებს გადართვას. ზედა კლასებში სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, სწავლება უმეტესად ვიზუალური ხდება. ამიტომ აუდიალური და კინესთეტიკები კიდევ უფრო ჩამორჩებიან და ფავორიტები ვიზუალები ხდებიან.

ყველა მასწავლებელს უცდია ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა, თუმცა ამას ყოველთვის არ მოაქვს შედეგი. აი, რისი ბრალია ეს: მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან, ზოგიერთ მოსწავლეს კი ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, რათა “კორიდორში” არ აღმოჩნდეს. მასწავლებლის ძალისხმევის 85-90 პროცენტი “კონვეიერთან” მუშაობაზე იხარჯება, ხოლო 10-15 პროცენტი – ინდივიდუალურზე. განსხვავება მეტად თვალში საცემია. უდავოა, რომ “კორიდორში” მოხვედრილ მოსწავლეს სხვა, მისთვის უფრო გასაგები პრინციპით უნდა მიაწოდო მასალა.

“კონვეიერი” გულისხმობს:

- ფოკუსირებას მთელ კლასზე;
- პოლისენსორულ სწავლებას;
- ახალ შინაარსზე ორიენტაციას;
- წარმატება ეფუძნება ინფორმაციის გადაცემის ტექნიკას

“კორიდორი” გულისხმობს:

- ფოკუსირებას ცალკეულ მოსწავლეზე;
- თითოეული მოსწავლის სწავლებას მისი მოდალობის გათვალისწინებით;
- ახალ პროცესებზე ორიენტაციას;
- წარმატება ეფუძნება ინფორმაციის მოდალობასთან შესაბამისობას.

დანწყებით კლასში მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლისთვის წამყვანი რეპრეზენტატიული სისტემის განსაზღვრა და მუშაობა ისე წარმართოს, რომ თანდათან უბრუნველყოს მისი გადასვლა სხვა მოდალობებზე. ამით მასწავლებელი

საგრძნობლად გაათვართოვებს მოსწავლის შესაძლებლობებს სასწავლო მასალის ათვისების პროცესში, დაეხმარება მას, აღიქვას სამყარო ისე, როგორც ამას პოლიმოდალური ბავშვები ახერხებენ.

მაღალ კლასებში, საგნობრივ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, სასწავლო პროცესი ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: ერთი მხრივ, პოლიმოდალობის განვითარებისაკენ, მეორე მხრივ, წამყვანი მოდალობის საყრდენად გამოყენებისკენ.

ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის უნარი, გაარჩიოს, რომელია ამა თუ იმ მოსწავლის წამყვანი რეპრეზენტატიული სისტემა.

ვიზუალი მოსწავლე:

- დისციპლინირებული და ორგანიზებულია;
- წყნარი და დაკვირვებულია;
- ორიენტირებულია გარეგნულ ნიშნებზე;
- ადვილად იმახსოვრებს თვალსაჩინოებებს;
- ძნელად ითვისებს სიტყვიერ ინსტრუქციებს;
- კარგი მთხრობელია;
- აქვს ფანტაზიის უნარი;
- საუბრის დროს ნიკაპი ზემოთ აქვს აწეული;
- აქვს მაღალი ხმა;
- კარგად ახსოვს ის, რაც დაინახა.

აუდიალი მოსწავლე:

- ლაპარაკობს საკუთარ თავთან;
- იოლად ეფანტება ყურადღება;
- მოსმენილს იოლად იმახსოვრებს;
- უპირატესობას ანიჭებს ანგარიშს და წერას;
- იოლად ითვისებს უცხო ენებს;
- უყვარს მუსიკა;
- სწავლობს მოსმენით;
- ლაპარაკობს რიტმულად;
- უყვარს დისკუსიაში ჩართვა;
- მნიშვნელობას ანიჭებს ხმის ინტონაციას.

კინესთეტიკი მოსწავლე:

- ბევრს მოძრაობს;
- უყვარს ახლოს დგომა;
- ახასიათებს მრავალფეროვანი ფიზიკური რეაქციები;
- სწავლობს კეთების პროცესში;
- იმახსოვრებს სეირნობის დროს;
- ტაქტიანი და ლაკონური;
- კითხვის დროს თითო აცოლებს ნაწერს;
- უყვარს წიგნები, ორიენტირებულია სიუჟეტზე;
- ახსოვს ზოგადი შთაბეჭდილებები;
- დეტალებში სუსტია.

ვიზუალი მასწავლებელი:

- ლაპარაკობს სწრაფად;
- ხშირად ხმარობს ვიზუალურ ნიშნებს, დაფას;
- დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფორმებს;
- ცდილობს მოიცვას დიდი მოცულობის მასალა;
- არ კარგავს მოსწავლეებთან უკუკავშირს.

აუდიალი მასწავლებელი:

- ლაპარაკობს რიტმულად;
- უყვარს კლასში დისკუსია;
- მის გაკვეთილებზე მოსწავლეები ხშირად კითხულობენ;
- იმეორებს მოსწავლეთა კომენტარებს;
- უყვარს ჭკუის სწავლება, რომელსაც იწყებს სიტყვით: “რამდენჯერ...”

კინესთეტიკი მასწავლებელი:

- ლაპარაკობს ნელა;
- მანიპულირებს (გადასცემს, იღებს...);
- რთავს მოსწავლეებს პროექტებში, თამაშებში, სცენარებში;
- დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შინაარსს;
- მოსწავლეთა შეფასების დროს ორიენტირებულია იმაზე, რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს.

მოსწავლის ნეიროლოგიკურ მახასიათებელს და მისი სწავლების სტილს განსაზღვრავს ისიც, ცაყიაა იგი თუ მემარჯვენე. ეს დამოკიდებულია ადამიანის თავის ტვინის ორი

ნახევარსფეროს განსხვავებულ მუშაობაზე. ცაციებს მარჯვენა ჰემისფერო უფრო მეტად აქვთ განვითარებული, მემარჯვენეებს – მარცხენა, რაც განაპირობებს მათ მიდრეკილებებსაც.

ცაციებს ემარჯვებათ:

- აბსტრაქტულ თემებზე მუშაობა;
- მხატვრული გამოთქმები;
- სხეულის ენა;
- კონსტრუქტული ამოცანები;
- შემოქმედებითი ხელობები;
- დივერგენტული აზროვნება;
- გამოცდილების გამოყენება;
- ამოცანების გადაჭრა;
- სიმბოლოები, თანთაზი, მეტაფორები;
- სინთეზირება, განზოგადება;
- ლოცვა, მედიტაცია, მისტიკა;
- სპონტანურობა, მუშაობა უცნობ სფეროში;
- პროცესი მეტად, ვიდრე შედეგი;
- საკითხის ერთბაშად გაცნობიერება;
- მათემატიკური გამოთვლები;
- ფორმები და მახასიათებლები (პატერნები), სივრცითი კავშირები;
- სიმღერა, მუსიკა.

მემარჯვენეებს ეხერხებათ :

- დამუშავება, ანალიზი;
- კონვერგენტული აზროვნება;
- ფაქტებით, ციფრებით, მონაცემებით ოპერირება;
- სტრუქტურიზაცია, ნაბიჯ-ნაბიჯ მიახლოება;
- მეცნიერება და ტექნიკა;
- მათემატიკური მოდელები;
- წერა, ენები, კითხვა, ფონეტიკა;
- ლაპარაკი და დეკლამირება;
- სმენითი ასოციაციები;
- დეტალების შემჩნევა და მათზე მუშაობა;

- ნაწილიდან მთელისკენ, კერძოდან ზოგადისკენ სვლა.

ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია არა მარტო სწავლების ინდივიდუალიზაციისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ცაცეები (ხშირად – მომავალი ტალანტები და გენიოსებიც კი) თავიანთი გამორჩეულობის გამო “კორიდორებში” არ მოხვდნენ. ასეთ მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მიეცეთ სწორად განვითარების საშუალება მომავალში თავიანთი უნარების მაქსიმალურად გამოსავლენად.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ სწავლის სტილი ეხება სამ სფეროს: კოგნიტიურს, ფიზიოლოგიურს, აფექტურს. კოგნიტიური სტილი განისაზღვრება იმით, როგორ ესმის, იმახსოვრებს, ფიქრობს და წყვეტს პრობლემებს ადამიანი. ფიზიოლოგიური სტილი დაკავშირებულია ორგანიზმის ბიოლოგიურ თავისებურებებთან და მოიცავს რეაქციებს იმ ფიზიკურ გარემოზე, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დასწავლის პროცესზე (მაგ., ღამით უკეთ სწავლობ თუ დღე, სიგრილეში თუ სითბოში...). აფექტური სტილი ისეთ პიროვნულ და ემოციურ თავისებურებებს მოიცავს, როგორიცაა მიზანდასახულობა, ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობისთვის უპირატესობის მინიჭება. სწავლის სხვადასხვა სტილი შესაძლოა ერთ ან რამდენიმე აღნიშნულ პარამეტრს მოიცავდეს.

და მაინც, ზოგიერთ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ სწავლის საუკეთესო სტილი სტილის უქონლობაა. უფრო მნიშვნელოვანია უნარი, თავი გაართვა სხვადასხვა სიტუაციას.